თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2015 წლის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-380 353.4) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 560 883.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 632 757.5 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	2015 წლის ფაქტიური შესრულება
	553,506.0	632,757.5
ვალუტა და დეპოზიტები	125,000.0	187,952.7
სესხები	157,900.0	181,174.2
აქციები და სხვა კაპიტალი	270,606.0	263,630.6

*ვალუტა და დეპოზიტებში 187 952.7 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 434 413.3 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2016 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრა 622 365.9 ათასი ლარით (მათ შორის, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში ვადიან დეპოზიტებზე 2014 წელს განთავსებულია - 172 835.1 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 99 996.0 ათასი ლარი).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 71 873.6 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	2015 წლის ფაქტიური შესრულება
	85,000.0	71,873.6
სესხები	85,000.0	71,867.8
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	5.8

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 941 237.3 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 361 387.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- 314 680.1 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 576 147.5 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 470 559.8 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	2015 წლის ფაქტიური შესრულება
	1,331,080.0	1,361,387.8
საშინაო	315,000.0	314,680.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	315,000.0	314,680.1
საგარეო	1,016,080.0	1,046,707.8
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.5
სესხები	1,016,080.0	1,046,707.3

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**470,559.8**
WB	269,085.6
EU	24,736.6
ADB	176,737.6
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**576,147.5**
IFAD	4,781.1
WB	134,499.7
EBRD	11,343.1
ADB	204,016.3
EIB	82,818.4
საფრანგეთი	27,341.2
იაპონია	83,712.1
გერმანია	27,635.5
სულ კრედიტები	**1,046,707.3**

2015 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 36 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 842 996.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 519 200.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 48.5% იყო

12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 29.6% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 19.5% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.4% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 811 850.0 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 497 169.9 ათასი ლარი შეადგინა. შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა 314 680.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 99.9%-ია.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის და დაფარვის წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წელს დაგეგმილი 100 000.0 ათასი ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. შემოსული თანხის შესაბამისი მოცულობით განთავსდა ვადიანი დეპოზიტები სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

2015 წლის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	**ვალდებულებების ზრდა**		**ვალდებულებების კლება**	**ვალდებულებების წმინდა ზრდა**
	მთლიანად	მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფისთვის		
იანვარი	170,362.4	49,998.0	85,544.6	84,817.8
თებერვალი	147,037.3	49,998.0	55,732.8	91,304.6
მარტი	77,435.6		54,981.0	22,454.6
აპრილი	82,077.5		56,261.2	25,816.3
მაისი	79,566.8		56,389.4	23,177.4
ივნისი	47,521.7		0.0	47,521.7
ივლისი	98,189.9		56,567.9	41,622.1
აგვისტო	37,718.3		63,403.4	-25,685.1
სექტემბერი	19,454.7		0.0	19,454.7
ოქტომბერი	13,407.6		0.0	13,407.6
ნოემბერი	28,995.0		68,289.7	-39,294.7
დეკემბერი	10,083.1		0.0	10,083.1
სულ	**811,850.0**	**99,996.0**	**497,169.9**	**314,680.1**

3. ვალდებულებების კლება 420 150.6 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	2015 წლის ფაქტიური შესრულება
	420,205.9	420,150.6
საშინაო	49,306.4	49,745.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35,000.0	35,000.0
სესხები	1,192.3	1,192.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	13,114.1	13,552.9
საგარეო	370,899.5	370,405.6
სესხები	370,000.0	369,506.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	899.5	899.4

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 13 161 370.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 2 827 593.8 ათას ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 400 846.0 ათასი ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 137 000.0 ათას ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 381 066.3 ათასი ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 236 356.5 ათასი ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ე.წ. „ისტორიული ვალი“) - 672 325.0 ათასი ლარი;

- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 10 333 776.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	**10,333,776.2**
მთავრობის საგარეო ვალი	**10,287,314.6**
მრავალმხრივი კრედიტორები	**7,354,835.6**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,904,601.3
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,516,330.8
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	70,087.1
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	265,494.8
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	199,105.0
ევროგაერთიანება (EU)	26,169.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,814,387.7

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	558,660.0
ორმხრივი კრედიტორები	**1,729,871.0**
ავსტრია	28,602.7
აზერბაიჯანი	25,612.6
თურქმენეთი	505.5
თურქეთი	49,025.0
ირანი	19,906.0
რუსეთი	207,932.5
სომხეთი	29,809.3
უზბეკეთი	580.6
უკრაინა	530.2
ყაზახეთი	66,516.0
ჩინეთი	7,749.6
გერმანია	627,705.1
იაპონია	414,016.0
კუვეიტი	38,288.4
ნიდერლანდები	3,111.8
ამერიკა	65,471.9
საფრანგეთი	144,507.8
ფასიანი ქაღალდები	**1,197,450.0**
ევროობლიგაცია	1,197,450.0
გარანტირებული კრედიტები	**5,158.0**
გერმანია	5,158.0
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**46,461.6**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	46,461.6